# იმერეთი

ყოველდღიური გაზეთი

ფასი:

წლიურათ . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . 3 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და დანარჩენი [illegible] ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

№ 28

წელიწადი მეორე

— 1913 —

სამშაბათი, [illegible]

რედაქცია მოთავსებულია ქუთაისში, ივანოვის ქუჩაზე, ვ. ი. ჭილაძის სახლში, (ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭოს პირდაპირ).

ტელეფონი № 149.



აბა, მოსწიეთ პაპიროზი
15 ცალი 6 კ. „ა ნ ი“ 25 ცალი 2 შაურათ
აქციონ. საზოგ. თამბაქ. ქარხ. „მირი“.

აბა, მოსწიეთ პაპიროზი
20 ცალი 1 შაურათ „ბელაია რომაშკა“ 20 ცალი 1 შაურათ
აქციონ. საზოგად. თამბ. ქარხ. „მირი“.



## მიიღება ხელისმოწერა 1913 წლისათვის ყოველდღიურ გაზეთზე.

წელიწადი მეორე 1913 — **იმერეთი** — წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი:
- ერთი წლით . . 7 მანეთი,
- ნახევარი წლით . . 4 მანეთი,
- ერთი თვით . . 3 აბაზი
- და ცალკე ნუმრის . . 1 შაური.

წლიურ ხელისმომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირათ გადაიხადონ: ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი წლიურათ ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს—ხუთ მანეთად. თვიურათ გაზეთი ამავე პირთათვის ღირს სამ აბაზათ. მისამართის გამოცვლა ღირს ათ შაურათ. მისამართის გამოცვლის დროს უნდა ნაჩვენები იყოს სრულათ ის მისამართი, რომლითაც ღებულობდა გაზეთს და აგრეთვე სწორათ ახალი მისამართიც; სხვანაირათ მისამართის გამოცვლა არ შეიძლება.

საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 14 მანეთად, ნახევარი წლით 8 მან. და თვიურათ 6 აბაზათ.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტის ანგარიშით სტრიქონი ღირს 3 შაურათ, მეოთხეზე—ორ შაურათ, შიგნით გვერდზე მორიგებით და გარეშე ცნობები ჩვეულებრივი ასოებით დაბეჭდილი თითო სტრიქონი თითო აბაზათ. შრომის მაძებართა განცხადება—ნახევარ ფასათ.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოთ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ“, Антону Михайловичу Хеладзе. სხვანაირათ გამოგზავნილ ფულსა და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.


გამგეობა და დასი ქუთაისის ქართ. დრ. საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანგძლივ ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ტფილისის დრამატიული დასის მსახიობი ქალი

**ბარბარე ნებიერიძისა**

პანაშვიდი დანიშნულია სამშაბათს, 5 თებერვალს შუადღის 12 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაში


### ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუღალტერო კურსები**

## გ. გ. გიგინეიშვილისა.

[illegible]ვრიდან იხსნება კურსებზე მეორე განყოფილება. მსმენელები მიიღებიან ოთხი [illegible]ლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსი ათი თვისაა. სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (ტფილისის ქუჩა).

ქუთაისის მოვაჭრეთა საყურადღებოთ.

## თეატრ რადიუმში

1 იანვრიდან 1913 წ.

## იყიდება ადგილები სცენის ფარდაზე

განცხადებების და რეკლამებისათვის.

[illegible]სურველთ შეუძლიათ მიმართონ თეატრ რადიუმის დირექციას, ყოველდღე საღამოს 7 საათიდან.

**[ე]ქიმი ი. ჩარექოვი.**
[illegible] იღებს მხოლოდ და განსაკუთრებით [illegible]ნის, ვენერიულსა და სიფილისიან [illegible]ავათმყოფებს. დილის 12 საათ. 2-დე; საღამოს 5—7.
[illegible] წუწუნავას ქ. აბულაძის შესახვევთან ისულიანის სახლი.

**[ე]ქიმი ვ. ი. ფიშინი** ქირურგიული და საშარდე სნეულებ[ანი] ყოველდღე 12—2 და 4—6 საათამდი.
[illegible] კომპიტლის ქ. გვახარიას სახლი.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

## მ. ბალანჩივაძისა

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, კანქვეშ შესაშხაპუნებელი წამლით და ვსპობ სახეზე: მუწუკებს ნაოჭებს ჭირვეულს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა და სახის ყოველგვარ ავათმყოფობას.

გენერლის ქუჩა ექიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი.

ПАПИРОСЫ ГОЛУБКА 10 шт. 3 коп. ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА ПАПИРОСЫ „ИНТЕЛЛИГЕНТНЫЯ“ ЦѢНА 25 шт. 15 к. 10 ш. 6 к. 100 ш. 60 к.

ПАПИРОСЫ ЭКСТРА 15 шт. 6 коп. ФАБРИКИ А. ЭНФІАДЖІАНЦА

ВЫИГРЫШНЫЕ БИЛЕТЫ
ЛЬГОТНЫЯ УСЛОВІЯ.
ДОСТУПНО ВСѢМЪ.
ПРОСПЕКТЫ БЕЗПЛАТНО.
БАНКИРСКІЙ ДОМЪ:
Л. В. ЛАНДАУ и К°
ВАРШАВА БРАТСКАЯ 18

გამოცდილი **მასწავლებლები** ამზადებენ ბავშვებს ხელმისაწვდომ ფასათ და ბეჯითად. შეუძლიათ მოამზადონ ყველა საშუალო სასწავლებლის დაბალ კლასისთვის, აგრეთვე სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლის ყველა კლასისთვის. გაკვეთილებს უსწორებენ სწავლაში სუსტებს და ჩამორჩენილებს ახალი მეთოდით. საცადი გაკვეთილები უფასოთ.

მისამართი „იმერეთის“ რედაქციაში.


## პირველი თებერვლიდან გაზ. „იმერეთი“ ამა წლის დამლევამდი ღირს 6 მან. 10 შ.

## დ ღ ი უ რ ი

— გალიპოლში ოსმალები სასტიკათ დამარცხდენ. ენვერ-ბეი დაიჭრა.

— შარკოიასთანაც ამათ 5—6 ათასი მოუკლეს.

— ახალგაზდა ოსმალებმა ალბანეთში კაცი გაგზავნეს სერბიის წინააღმდეგ ხალხის ასამხედრებლათ.

— დერვას ტბას მახლობლათ ბულგარლებთან ბრძოლის დროს ოსმალები დამარცხდენ.

— ადრიანოპოლთან ბულგარლებმა ორი დიდი სიმაგრე აიღეს.

— ხონთქარმა გერმანიის იმპერატორს სთხოვა—მშვიდობიანობა დაამყარეთ.

— სკუტარში სერბიისა და შავმთიელეთის შეერთებულ ჯარი ოსმალეთისას ამარცხებს.

— ავსტრია დათანხმდა, რომ იპეკი და პრიზრენი სერბიას მიეკუთნოს.

— პეტერბურგში ვიტმერის გიმნაზიიდან დათხოვნილ 34 მოწაფეს ისევ მიიღებენ...

## ვაშა, დეპუტატებო!

როგორც ვიცით, დეპუტატს გელოვანს უნდოდა სახალხო შკოლების შესახებ შეკითხვა შეეტანა, რისთვისაც საჭირო მასალას აგროვებდა. მაგრამ კ. ჩხეიძემ და ა. ჩხენკელმა არ დააცალეს და შეკითხვის შეტანა დაასწრეს. და, რაც უფრო სამწუხაროა, შეკითხვაზე ჩხეიძესა და ჩხენკელს შემდეგ ერთ რუსს უწერია ხელი, რომელსაც ალბათ არავითარი მასალა არ მოეპოვება. გელოვანმა სთხოვა მათ, რადგან დამასწარით, მეორე ადგილი მაინც დამითმეთ, რომ მდიდარი მასალა, რომელიც ხელში მიჭირავს, შესაფერათ მოვიხმარო და საკითხი სავსებით გამოვარკვიოო. უარი სტკიცეს!

გაზეთი „მერცხალი“ ბძანებს, გელოვანი მოვალეა თავისი მასალა ჩხეიძესა და ჩხენკელს მიაწოდოსო. მაგრამ, მე რომ გელოვანის ადგილზე ვიყო, მასა[ლის] [illegible] კი არ ვუზიარებდი, რადგან მეცოდინებოდა, რომ სოციალ-დემოკრატიის დეპუტატები მასალას რიგიანათ ვერ მოიხმარდენ.

დიახ! მათი მიზანი მხოლოდ ის არის, რომ დეპუტატს გელოვანს დაასწრონ, საგანი გადაღეჭონ; სათათბირო დაღალონ, გული გაუგრილონ და გელოვანის სიტყვას ყოველივე ფასი და მნიშვნელობა დაუკარგონ! მათ რომ ეროვნული შკოლისთვის გული შესტკიოდესთ,—გელოვანთან ერთად შეიტანდენ შეკითხვას, მასალების შეკრებას მოუცდიდენ, დინჯათ, აუჩქარებლათ, უტყუარი საბუთებით წარმოსდგებოდენ სათათბიროს წინაშე. და, რასაკვირველია, პირველათ გელოვანს ალაპარაკებდენ.

რაღა დასამალავია, რომ გელოვანის ეროვნული იდეალი უფრო ფართო, გამორკვეული და მთლიანია, ვიდრე ჩხეიძისა და ჩხენკელისა. ამათ ხელში მასალა ცარიელ მშრალ მასალათვე დარჩება, რადგან ვერ გააშუქებენ და შესაფერ დასკვნას ვერ გამოიღებენ. ისინი რომ შკოლებში ქართული ენის შევიწროებას აღნიშვნენ, სათათბირო ამ ფაქტს ძლიერ ვიწროს, პატარა მნიშვნელობას მიაწერს.

გელოვანი კი ფაქტს ეროვნული თვალსაზრისით შეხედავდა და შეკითხვის საგანს უფრო გაალრმავებდა და გააფართოებდა.

და სწორეთ ეს აშინებს ჩხენკელსა და ჩხეიძეს. ამიტომ გამოეთიშენ გელოვანს და არ შეიერთეს ამ საერთო საქმეში. და მათი აჩქარებული შეკითხვის მიზანი ის არის, რომ შეკითხვას ეროვნული ხასიათი ჩამოაცალონ და უბრალო, ჩვეულებრივი შევიწროების ფარგალს არ გადააცილონ.

ამიტომ უშლიან ხელს გელოვანს.

ვაშა, დეპუტატებო!

**ური.**

## ახალი ამბავი.

ქუთაისის ქალაქის პირველ დაწყებითი შკოლების გამგეთ დირექციისაგან ქალალდი მოუვიდათ, რომ სწავლის წესი 81 წლის სამოსწავლო პლანის მიხედვით აწარმოვონ. მაგრამ გაკვეთილების ნუსხაში, წლის მეორე ნახევარში ქართული

6 თებერვალს ქუთაისის საზოგადო საკრებულო დარბაზში დანიშნულია

# წლიური საზოგადო კრება.

განსახილველი საგნები: 1) 1912 წლის ანგარიში, 2) 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და სხვ. ვისაც საწევრო ფული არ გადაუხთია არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

ენის გაკვეთილები მაინც კიდევ შემცირებულია ერთი—ორით და ამის ნაცვლად ერთი თუ ორი გაკვეთილი რუსული ენისაა მომატებული. ამ სახით პრინციპი 81 წ. სასწავლო პლანისა, თუმცა არა სავსებით, აღდგენილია.

✦ ქუთაისის მცხოვრებს, ივანე ჩერნიკოვს, რომელსაც მუსიკალური და ნოტების მაღაზია აქვს, საინტერესო რამე გამოუგონია, აგრე წოდებული „გიტარა პროგრესი". ღირსება ამ ინსტრუმენტისა იგია, რომ ერთხელვე აწყობილს, მომართულს თითქმის აღარ დასჭირდება არაოდეს გასწორება. ჰაერის მდგომარეობა იშვიათად ახდენს მასზე გავლენას, სიმები ერთ სასურველ ხმაზე დარჩება რამდენს ხანსაც სასურველია.

✦ ამ ახლო ხანში გარდაცვალებულს ეკატერინე ფიფინაშვილისას შვიდასი თუმანი უანდერძებია ღარიბი სტუდენტების სტიპენდიებისთვის და სამი მანეთიც ქუთაისის სასწავლ. ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლათ.

✦ „საზოგადო სახლის" ადგილისა და ბინის არჩევის ამბავმა დიდი აურ-ზაური ასტეხა ქალაქში. ჯერ ბალახვანში ფიქრობდენ, მაგრამ მცხოვრებლები, მეზობლები ახმაურდენ და აქიდან ჭავჭავაძის ქუჩაზე გადაწყვიტეს ბინის შოვნა. აქაც აღარ მოხერხდა ასეთი წინააღმდეგობის გამო. ახლა ბინა აუჩენიათ ქვარიანების ქუჩაზე ბესო მიქიაშვილის სახლში, მაგრამ აქაც დიდი უსიამოვნება გამოიწვია მცხოვრებლებისა... ცხადი და ადვილი ასახსნელია მცხოვრებლების ასეთი უკმაყოფილება. ამ გვარი დაწესებულებისათვის ბინა საჭიროა ქალაქის განაპირა ადგილას იყოს არჩეული.

✦ ქუთ. ციხის ზედამხედველათ ნამყოფს ჟორჟოლიანს, რომელსაც სამსახურს ასრულების დროს ამას წინათ ერთი ტუსაღი შემოაკვდა, ოლქის სასამართლომ ღირსება ახადა და სამი წლით გამასწორებელი რაზმი გადაუწყვიტა.

✦ თებერვლის 13 ოლქის სასამარ. დანიშნულია კ. რიჟამაძის საქმე. მას ბრალდება 1906 წ., როცა იგი სასამართლოს მოლარეთ იყო, ექვსი ათასი მანეთს გაფლანგვა. ამ ჟამათ იგი თავდებ ქვეშაა.

✦ პატიმარი დაბა ლანჩხუთის ბოქაულათ ნამყოფის იაშა მიქიაშვილის საქმის გამოძიებას შეუდგენ. იგი ციხეშიც არ სწორდება და ოინებს, ვერაგობას იქაც ჩადის, მას ბრალდება ხამი პატიმრების მოტყუება. სხვათა შორის უჩივის პატიმარი მიხეილ კოლუაშვილი. პირდებოდა ხამ პატიმრებს გათავისუფლებას. პატიმრები ნაფიცი ვექილების დაწერილ თხოვნებს, საჩივრებს, აპელაციას და კასაციას ხევდენ და მიქიაშვილს აწერიებდენ. მისი დაწერილი ყველა ქაღალდი უყურადღებოთ დარჩენილა და თუ იგი პირდებოდა პატიმრებს თუ წაავებთ ფულს დავიბრუნებთო ამას არ ასრულებდა საქმით...

✦ ქუთაისის საოლქო სასამართლომ დემურა (იგივე ისააკი) ლომთათიძეს ათი წლის კატორგა მიუსაჯა თავდასხმისთვის. მალე რუსეთის საკატორღო ციხეში გაიგზავნება.

✦ 3 თებერვალს სახალხო უნივერსიტეტის თაოსნობით „რადიუმში" ორი ლექცია წაიკითხეს. ს. რობაქიძემ საქართველოს გეოგრაფიიდან და რ. არსენიძემ ბატონყმობის ნაშთების გაუქმების შესახებ.

✦ ნ. გვარაძის საბენეფისო წარმოდგენა 9 თებერვალსაა. წარმოდგენილი იქნება ოთხ მოქმედებიანი პიესა მოსწავლეთა ცხოვრებიდან „პანსიონის ზღუდეთა შორის".

✦ თფილისში ოსმალურ ენაზე გაზეთის გამოცემა განუზრახავთ.

✦ ვლ. მესხიშვილის 30 წლის სცენაზე მოღვაწეობას ხონშიც იდღესასწაულებენ. გადაუწყვეტიათ მის პატივსაცემათ წარმოდგენა გამართონ და თვით იუბილიარი მიიწვიონ.

✦ ომიანობის გამო ოსმალეთის მთავრობა კავკასიაში აბრეშუმის თესლს არ გზავნისო. თფილისის სააბრეშუმო სადგურზე წინათ ორასი სამასი ათასი მისხალი თესლი შემოდიოდა, ახლა კი მხოლოდ 50,000 მისხალი თესლი შემოიტანესო.

✦ სათათბიროს დეპუტატების ერთმა ნაწილმა გადაწყვიტა სთხოვონ სახალხო განათლების მინისტრს წელს იუბილეს გამო—საშვალო შკოლებში ეგზამენებს ნუ მოახდენს.

## ფიქრის მორევში.

ერთხელ კიდევ ამოვწერთ იმ დიალოგს, იმ მუსაიფსა და ტკბილ სიტყვებს, რომელიც „მერცხლის" მოსკოველ კორესპონდენტს, ვიღაც ვ. მ—შვილს მოსკოვიდან გამოგზავნილ წერილში მოუთავსებია და მგოსანი აკაკის ნათქვამათ ასაღებს მას:

„—რა აზრისა ხართ, ბატონო, (მიუმართავს აკაკისათვის) ქუთაისის არჩევნების შესახებ. მართლა გაიმარჯვა იქ ეროვნულმა იდეალმა როგორც ამ სიტყვებს განმარტვენ ჩვენი ფედერალისტები.

— კაი თუ ღმერთი გწამს,—ღიმილით მიპასუხა მგოსანმა,—არაფერს მაგვარს ადგილი არ ქონებია.

— მაშ რითი ხსნით თქვენ გელოვანის დეპუტატათ არჩევას?

— განა არ იცით,—გაიღიმა მგოსანმა—ხანდახან მწევრების (აგან) მიერ დაღლილ კურდღელს ქოფაკი დაიჭერს? ასე მოუვიდა გელოვანსაც...

დიახ, ასაღებს. ძალაუნებლიეთ მებადება ასეთი ეჭვი. მოსკოვში მგოსნის მიგებების აწერა ყველა ჩვენებურ გაზეთში იყო დასტამბული.

მაგრამ არც ერთს კორესპონდენტს ასეთი „სამარგალიტო" დასტალოლით არ შეუმკია თვისი წერილი. „მერცხალსა" და იმის კორესპონდენტს დასჭირდათ ეგ... რისთვის, რა მიზნით—ადვილი გასაგებია.

პირადათ ჩემზე აუწერელი ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ დიალოგმა. ცხადია მგოსნის დიადი გულის პასუხს ვერ მივწვდები, მაგრამ არ მინდა დავიჯერო, არა მსურს ვირწმუნო, რომ იგი ვინც დღემდი ეროვნული სულის სიმტკიცეს, სიდიადეს კალმით ქადაგებდა და ქადაგობს, დღეს ასე...

აქ ერთის ნაცვლად რამდენი წერტილი უნდა დამესვა,—მეშინია, მოზღვავებულმა ბოღმამ მე პატარას დიდისადმი რამე უხერხული არ მათქმევინოს! მით უმეტეს კიდევ, რომ მგოსნის ღვთიური გრძნობით მაფეთქარ გულს მისი სამშობლო ქვეყნისადმი, მგოსნის ბაგეს ვერ მივაწერ ამ სიტყვებს...

ვინაა ეს მწევრები, ვინაა კურდღელი და ვინა ქოფაკი?!..

გულით მწადია გავიგო:—მართლა რა სთქვა მგოსანმა და რას იტყვის ახლა?...

დ.

## კეთილი სიტყვისგება

(წერილები რედაქციისადმი)

I. ბ. იონა მეუნარგიაზე

(იხ. „იმერეთი" № 27).

4.

ჩემი ფოთიდან წასვლა მიტომ არ სჯერა ბ. მეუნარგიას, რომ თვითონ არ შეუძლია წარმოიდგინოს ფოთის მართვაზე ნებით ხელის აღება. ამას წინეთ ერთმა ქოფაკმა კუნთი კინაღამ გამომგლიჯა: ეგონა, მისივე თვალით ვუცქერდი იმ მყრალ ძვალს, რომელსაც ხარბათ ხრავდა. ნუ ვედავებით ამისთანაებშიც. ვთქვათ მართლა ვრჩები ფოთს, მართლა მოცლილი ვარ,—მართლა ვთქვი „ან მე, ან ის"-თქო, მართლა გავაშავებინე ბ. მეუნარგია მისი პროგრამის და ყოფაქცევის დაწუნებით, ჩემი გეგმის და სამსახურის დაცვით. იერე რაო? დამირღვევია იმით მართველობის წესი, ქალაქის სარგებლობა, საერო სიქეთე, ბრძოლის ეთიკა? საბრალო არ არის ვინც ასე სჯის?

ბ. მეუნარგია მწამებს: ეხლა მაძაგებს, უწინ კი დიდ მეცნიერათ მთვლიდიო. საბუთად წერილი მოყავს ჩემი, სამსახურის საჭიროებისთვის მიწერილი, არც სამსახურის საიდუმლობის გამჟღავნებას მორიდებია, არც ის ცოდნია, ალბათ რომ სხვისი წერილის ბეჭვდას, დამწერის უთანხმოთ, კანონი ქურდობათ სთვლის. ამაებს ვინ ჩივის. გადიკითხეთ ის ჩემი წერილი. ნუ თუ მცოდნე, ჭკვიან კაცს ასეთ წერილს მისწერდა ვინმე? გაუგია ბ. მეუნარგიას მისი შინაარსი? ვსწერ შიგ: საქმეში ყველაფერი ახსნილი, დალეჭილი, ამოცოხნილია. გაუგებარი შიგ არაფერია. ნუ გეშინია. წადი, გარჩევას დაესწარ: არც გამრჩევლებს ექნება შენზე მეტი მასალა მეთქი. ვისი დიდებაა ეს: ბ. მეუნარგიის, თუ საქმის სისწორის? ვაპირებამნაირათვე გამზადო და გზავნო სამინისტროებში მეთქი. დიდი რამ გონებია ბ. მეუნარგიას იქ სიარული. ვინ არ შედის, არ იმარჯვებს, სხვისგან დაწერილი ქაღალდით? შენიშნეთ იმ წერილის კილოც? არ ჩამოგავს იმას, რომლითაც უქეიფო ბავშვს ამხნევებენ ხოლმე, როცა სასაქმებელ ზეთის დალევაზე გაჟინდება? „შენისთანა ჭკუიანი შენისთანა მარჯვე ბიჭისთვის რა ძნელია ეგ ერთი ყლაპვის გადაკვრა? ყანწით მინდა მომეტანა! თუ ჩვენი წინწლაქა გოგია ქინაქინას ღვინოსავით სვამს, შენ ზეთი ვერ დაგილევია, მაგისანა ვაჟკაცს?" წერილს, როგორც შიგვე მოხსენებულია თან ახლავდა ვრცელი „ინსტრუქცია"! თუ ესა და ეს სთქვას ვინმემ, ... რა ... თქო. განა ამისთანა დარიგება და ... ხნევება სჭირია მცოდნე, საკუთარ ... ზე მდგომ კაცს? საქებ დიპლომათ გამოადგება ბ. მეუნარგიას ის ჩემი ... რილი შთამომავლობის წინ. ჩემ მდგო... მარეობას კი ნათლათ დასახავს: აი, ... ზეთი უნდა მესხა კანდელში წმინდა ... ნოს ხატის წინ.

საქმისთვის თვითონ სიარულს ... ბედავდა, სხვის ამაგს კი ცესლავს: ნი... ლაძე პეტერბურგს მიტომ დაიარებო... რომ ოჯახი იქ ყავსო. აქნამდიც ... გაუგია, რომ ჩვენი ბედი სატახ... ქალაქში სწყდება, რომ ფოთს, ... თაისს, თფილისს ახლილი აქვთ გ... წყვეტი უფლება: აქ მარტო მზად... სახეირო თუ სახიფათო საქმეებისა, ... ბოლოო მათი იღბალი კი უმაღლ... მთავრობის ხელშია. დანამდვილ... იცის, რომ ქალაქის საჭიროებას ... ხნობით გაუჩერებივარ პეტერბურგს ... შინაც, როცა ჩემი ცოლშვილი ... ან თფილისს სცხოვრობდა, და ავათ... იყო, გასაჭირში (როგორც 1905 ... იცის, და მაინც ცილსა სთესს.

ასეთ აშკარა ცილს ვინც იკად... იმისთანა საგანში, სადაც მის გამამტ... ნებლათ უდავო საბუთი არსებობს, ... განა ბეზღობას მოერიდება იქ, სად... საბუთი კი არა, მოწმეც არ მოიძ... რომელი მწერლობა მოითმენდა ბ. მე... ნარგიის საქციელს ბბ. ევგ. გეგეჭკო... და სოფრომ მგალობლიშვილის შეს... გეხსომებათ, ამ უკანასკნელმა ... „ჩვენ დროებაში" ბ. მეუნარგიის გა... ბაზე დაწერა: „რაც მოგივა დავით... ყველა შენი თავითაო". ამის ... ხათ ბ. მეუნარგია მას ეხლა ... პირით სტუქსავს: თხზავს, ... თომ კერძოობაში ეს ჩემი კეთილი ... გობარი მელანძლოს. ბ. მგალობლიშვილმა, ვთქვათ, გაამწარა. ბ. გეგეჭკორმა ... რაღა დაუშავა, რომ ლანძღვაში ... რია? ფიცმა დააჩვია? ნამუსზე ხელი აღ... ბული უნდა ქონდეს ამის მქნელს, ... ყველას ბრმათ უნდა სთვლიდეს, რო... ბრმა მარტო თვითონ ყოფილა.

კრიალოსანზე ჩამოვთვალე ბ. მეუნარგიის გალესილ კალმით აწერილი ... ცოდვები. ყველაფერშიც რომ დაინ...

## პუბლიცისტური ესკიზები.

**კომუნალური კრედიტი.**

იხ. „იმერეთ." 27 №.

ახალი კანონით სესხი დასახელებული კასიდან ეძლევათ იმ ქალაქებს, სადაც საქალაქო დებულება არის შემოღებული, და აგრეთვე საგუბერნიო და სამაზრო ერობებს. თუ სესხი გრძელვადიანია, მაშინ მისი დანიშნულება წინდაწინვე სასტიკათ განსაზღვრული უნდა იყოს, ხოლო მოკლევადიანი სესხი, გარდა განსაზღვრული დანიშნულებისა, შეიძლება ქალაქებსა და ერობებს საზოგადოთ მათ საშუალებათა გასაძლიერებლათ მიეცესთ.

მოგეხსენებათ, სესხის აღების ერთ-ერთი ფორმა საობლიგაციო ფურცლების გამოცემა გახლავს. ასეთ ფორმას ხშირათ მიმართავენ ხოლმე ქალაქები და ერობები. მაგრამ, დადგება თუ არა ამ ფურცლების განაღდების დრო, ფურცლების პატრონი ძნელ მდგომარეობაშივარდება. არ იცის, ვის მიმართოს, რომელი პირობები მიიღოს და სხ. ხშირათ იგი იძულებული ხდება ერთობ მძიმე პირობებს დაეთანხმოს. აი, აქ კი „საქალაქო და საერობო კრედიტის კასას" სწორედ დიდი სამსახური შეუძლია გაუწიოს თვის კლიენტებს—წესდების ძალით, მას, სესხების გაცემის გარდა, მიზნათ აქვს მიიღოს საკომისიოთ რეალიზაცია იმ საობლიგაციო ფურცლებისა, რომელთაც ერობასა და ქალაქს წინათ გამოუცია, ა აწი გამოსცემს (იხ. § 1 ამ წესდებისა).

მართვა-გამგეობა ამ ახალი ბანკისა, როგორც წმინდა მთავრობის დაწესებულებისა, ბიუროკრატიულია: კასა ექვემდებარება ფინანსთა მინისტრს და მას განაგებს ერთი მართველი და გამგეობა ხუთი წევრისგან. ყველა ესენი უმაღლესის უფლებით ინიშნებიან. ორი წევრი გამგეობისა, უმაღლესივე ბძანებით, იმ პირთაგან ინიშნება, რომელთაც ქალაქის და ერობის თვითმართველობანი ირჩევენ.

კასის საშუალებას შეადგენს (§ 28): 1) ძირითადი თანხა, რომელიც უდრის ათ მილიონს და რომელსაც სახელმწიფო ხაზინა აძლევს კასას ოთხპროცენტიან რენტის ქაღალდებით; 2) ათი მილიონი სატრიალებელი თანხა, რომელიც იმავე სახელმწიფო ხაზინას შემოაქვს დროებით კასაში სახელმწიფო რენტითვე და 3) სავარაუდო თანხა, რომელიც შედგება: ა) კასის წმინდა მოგებიდან და ბ) გაცემულ სესხებიდან დაკავებული ხუთი პროცენტისაგან, რომელიც მსესხებლებს უბრუნდებათ სესხის მთლად დაქრობას შემდეგ.

თუ კასამ იზარალა, ამ ზარალს ფარავს სავარაუდო თანხა, ხოლო თუ ეს თანხა არ ყოფნის, მაშინ ძირითადი თანხა. თუ ეს უკანასკნელი თანხა ამის გამო ათ პროცენტზე მეტათ შემცირდა, ამ შემთხვევაში კასამ ახალი სესხების გაცემა უნდა შეაჩეროს (§ 37).

გძელვადიანი სესხები გაიცემა კასიდან ობლიგაციებით ვადით არა უმეტეს 66 წლისა და ორი თვისა და არა ნაკლებ 10 წლისა. მოკლევადიან სესხებში კასა ნაღდ ფულს იძლევა და ასეთ სესხებისათვის განსაზღვრულია ვადა ექვსი თვიდან ხუთ წლამდი (§§ 41, 50).

ვალის გარანტიათ ქალაქის ან ერობის ყველა შემოსავალი ითვლება. სავალო გადასახადები სესხისა, აგრეთვე „ნედოიმკები" და ჯარიმები, ქალაქისა და ერობის ხარჯთ-აღრიცხვაში შედის, როგორც სავალდებულო ხარჯი (§ 52). მაშასადამე, ამ გადასახადთა აღება, თუ საჭიროება მოითხოვს, ადმინისტრატიული წესით, სასამართლოს გარეშე ხდება.

ყველა სესხათ გაცემულ ობლიგაციების რაოდენობა შეიძლება მხოლოდ ათჯერ მეტი იყოს, ვიდრე ძირითადი და სავარაუდო თანხების ჯამი ერთად. რეალიზაციას იმ ობლიგაციებისას, რომელიც ეძლევა მსესხებლებს, ახდენს თვით კასა, ისე, როგორათაც საკომისიოთ აღებულ სხვა ობლიგაციების რეალიზაციას (§§ 53, 59).

თითქმის იგივეა მთავარი საფუძვლები სესხის გაცემისა სააქციონერო საადგილმამულო ბანკების მიერ ქალაქსა და ერობაზე. აქაც გძელვადიანი და მოკლევადიანი სესხებია დაწესებული. პირველნაირი სესხები სხვადასხვა ვადის შეიძლება იყოს, იმისდა მიხედვით, თუ რა ვადებია წინდახედული თვით ამ საადგილმამულო ბანკების წესდებაში, მაგრამ ეს ვადა 66 წ. და 2 თვეს ვერ აღემატება. მოკლევადიანი სესხი კი ხუთს წელიწადს ვერ გადასცილდება. აქაც გძელვადიანი სესხი ობლიგაციებით ეძლევა მსესხებელს, მოკლევადიანი კი ფულით. აქაც სესხს უზრუნველყოფს ყველა შემოსავალი მსესხებელისა და სხ.-და-სხ.

ასეთია მოკლე შინაარსი ახალი კანონისა. მიუხედავათ იმისა, რომ ორივე საკანონმდებლო პალატამ რამდენიმე სასარგებლო ცვლილება შეიტანა მთავრობის კანონ-პროექტში, ზოგი არსებითი დეფექტი ახლაც აქვს ამ კანონს.

მთავარი ნაკლი ის არის, რომ კასის მიერ გამოცემული ობლიგაციები განსაზღვრულია—ათჯერ მეტათ არ უნდა აჭარბებდეს ძირითად და სავარაუდო თანხების ჯამს. აქ დაცულია იგივე სისტემა, რომელიც იპოტეკურ ბანკებშია ხოლმე. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კასიდან აღებულ სესხებს ერთობ მკვიდრი და სანდო გარანტია აქვს (ყველა შემოსავალი ქალაქისა და ერობისა, გადასახადების შეტანა სავალდებულო ხარჯათ და ადმინისტრატიული, უდავო წესი გადახდისა) და გარდა ამისა ყოველი სესხი წინდაწინ მთავრობის სანქციას თხოულობს, ვერაფრით გავამართლებთ ზემოაღნიშნულ პროპორციის დადგენას ობლიგაციების რაოდენობისა და ძირითად და სავარაუდო თანხათა შორის. ამ უკანასკნელ თანხათა ჯამს ობლიგაციების რაოდენობა, თუ მეტჯერ არა, ოცჯერ მაინც უნდა ჭარბობდეს, როგორც ეს საზღვარგარეთაა თანაბარ შემთხვევაში. თვარა ასე ვიწროთ შემოფარგლული საკრედიტო ოპერაციები არსებულ საჭიროებას ვერ გაუწვდება. აბა, ორასი მილიონით რა ან რომელი ერთი უნდა დააკმაყოფილოს ახალმა კომუნალურმა ბანკმა ისეთ დიდ ტერიტორიაზე, როგორიც არის რუსეთის იმპერია, და ისეთ უკიდურეს ფინანსიურ მდგომარეობაში, რომელსაც ყოველი ქალაქი და ერობა განიცდის აქ? ასეთი მცირე კრედიტით, ცხადია, ბანკი შესამჩნევ ცვლილებას ვერ შეიტანს ქალაქისა და ერობის ცხოვრებაში.

ასეთივე შეზღუდვა ოპერაციებისა საადგილ-მამულო საააქციონერო ბანკებსაც დაუდვა ახალმა კანონმა. აქ ობლიგაციები ქალაქებისა და ერობათათვის გამოცემულნი, გირავნობის ფურცლებთან ერთად, ვერ გადასცილდება იმ ნორმას პროპორციისას სავარაუდო და ძირითად თანხებთან, რომელიც ამ ბანკების წესდებებითაა დაკანონებული. რაკი სათვალავში გირავნობის ფურცლებიც არის მიღებული, ადვილათ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენი შეუძლია გასცეს სესხათ ქალაქებსა და ერობებზე ჰიპოტეკურმა ბანკებმა.

აღარ შევჩერდებით დაწვრილებით ახალი კანონის ზოგიერთ სხვა ნაკლულევანებაზე, სახელდობრ: ა) „საქ. და საერ. კრედიტის კასა" კონტროლის მხრივ ექვემდებარება არა სახელმწიფო სათათბიროს, როგორც ამას თხოულობდა პროგრესიული ნაწილი ამ უკანასკნელისა, არამედ სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტს და ფინანსთა მინისტრს, ბ) ადგილობრივი თვითმართველობანი ერთობ სუსტათ არის წარდგენილი კასის გამგეობაში (მხოლოდ ორი წევრია) და სხ.

არ შეგვიძლია მხოლოდ არ აღვნიშნოთ აქვე ერთი გარემოება, რომელიც სწორეთ ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისათვის არის ყურადსაღები. ახალი კანონი თფილისის და ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკებზე არ ვრცელდება. უფლება სესხის გაცემისა უგიროთ ქალაქებსა და ერობებზე მიეცათ მხოლოდ რუსეთში მომქმედ საააქციონერო საადგილ-მამულო ბანკებს, ხოლო ჩვენი ბანკები როგორც აქამდი იყო მოკლებული ამ უფლებას, ისე აწიც იქნება. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, ახალი კანონის მნიშვნელობას კიდევ უფრო ასუსტებს ჩვენთვის. ეს ნაკლი კანონისა საზოგადოთ კავკასიისა და კერძოთ საქართველოს ქალაქებისათვის საკმაოთ საგრძნობელია. საქართველოდან გაგზავნილ დეპუტატებს რომ თავის დროზე მიექციათ ჯეროვანი ყურადღება ამ ჩვენი ბანკების უსაფუძვლო გამოთიშვაზე, ვფიქრობთ, სათათბირო დაიყოლიებდენ და შესაფერ შესწორებას მიაღებინებდენ მას მთავრობის კანონპროექტში.

ჩვენ ორნაირათ ვართ წაგებული. ... ნი სოფელი, როგორც მოგახსენეთ, ერობის უქონლობის გამო, ვერავითარი კრედიტით „კასიდან" ვერ ისარგებლებს, ხოლო ქალაქი თფილისის და ქუთაისის ს... ად.-მამ. ბანკებიდან სესხს ვერ აიღებს ... თუუძრავი ქონება არ დააწინდრა. ამ ... ხით, ახალი კანონის მნიშვნელობა ... ნი ქალაქებისათვის განახევრებულია, ... ლო სოფლებისათვის სრულიად გაბათილებული.

ყოველ შემთხვევაში პირველი ... ველი ნაბიჯი გადადგმულია. და თუ ... პირველ ნაბიჯს მთავრობისას შემთხვ... ვითი ხასიათი არ აქვს, უნდა ვიგულისხმოთ, რომ კომუნალურ კრედიტის უ... რო ფართოდ დაყენება მხოლოდ დროის საკითხია, ისე, როგორც საზოგადოთ ფინანსიური და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესობა ადგილობრივ თვითმართველობათა სხვადასხვა გზით, სხვადასხვა საშვალებით, ვინაიდან ცხოვრების გარდუვალ მოთხოვნილებას მთავრობა ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს.

გრ. გველესიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...მის თქმას, გამოდის, რომ ხანგძ-
...„მინდა-არ-მინდას“ შემდეგ, ხმოს-
...ის მითქვამს: „ან მე, ან მეუნარ-
...ვთქვათ, მართლა ასე იყო საქ-
...თმართველობის რომელი კანონი
...ა გმობს ამ ქცევას? აშენებულა
...ველოს საქმე, თუ ჩვენი სტამბა
...ზოგადოება ამ საგანზე ბ. მეუნარ-
...ზრის დარჩა.
...ამ ბრძოლაში ჩემი საქციელი ბ.
...იის სტილით მოგხსენდათ, ეხლა
...ამაშერინეთ მისი-მიხვრა-მოხვრა და
...ები. ფიცს, მოციქულობას, თავდე-
...ს თავიც რომ დავანებოთ, ვინ
...ა ქალაქის საქმეში პოლიცია, სა-
...ერნიო მთავრობა, პორტის უფროსე-
...ვინ დაასია ხმოსნებს ნაცნობი და
...ები, მღვდელი და ბერი, გარეშე
...შინაური, მოვალე და მოვახშე? ვინ
...ყრალა ქვეყანა, ცოლი ქმარზე აამ-
...ერა, ძმა-ძმაზე, მეგრელი—გურულზე?
...ჩევანი, ქალაქის მომავალი, ქალების
...ორგში სპორტათ ვინ აქცია, მე, თუ
...უნარგიამ? თუ ესეც ცოტაა, ვინ შე-
...დინა და გააცრუვა ჩვენი სტამბა, ვინ
...ისეთი უშვერი ცილი, რომ ბო-
...შიც უნდა საქვეყნოთ მოეხადათ
...თულს გაზეთებს, ვაი, სირცხვილო,
...მე თუ მან? რაის აქეთ ამგვარი „მი-

უტევარი ცოდვა სულის წმინდის წინ“
შესანდობი გამხდარა ჩვენში?

ბრძოლას ამით თავი დავანებოთ. შე-
უდგეთ დღიურის იმ ადგილების შინჯ-
ვას, სადაც ბ. მეუნარგია ფოთის საქმე-
ებს და მდგომარეობას სახავს. აქაც ვშინ-
ჯოთ მისი სისწორე. შეუპოვრათ სწერს:
მეოთხე სესხით ნიკოლაძე უშველებელ
ვალს ატეხს თავზე ფოთსო. სანამ ამა-
ებს უეცრი მჯღაბნელები ავრცელებ-
დენ, მოსათმენი იყო. მაგრამ რა სახე-
ლი ერქმის ამის გამეორებას იმ პირის-
გან, რომელსაც ფოთის ფინანსების მა-
რთვა იკისრა? არ წაუკითხავს, თუ ვერ
გაუგია, ყველა ფოთის სესხების ფურც-
ლებზე დაბეჭდილი კანონის მუხლი:
„რაც ამ სესხს სარგებლათ თუ გადა-
სახადათ ფული სჭირია, ყოველწლიუ-
რათ უნდა ეძლიოს ფოთის ქალაქის
მმართველობას მმართველობისგან“? შე-
საძლებელია, ამის შემდეგ, რომ ფოთს
ამ სესხებით როდესმე რამე გასაჭირი
ან პასუხისგება მიიღეს? ვინც ამისთანა
ცხად, უეჭვო საქმეში ცრუობს, მას
სწორე გზით რამე სარბიელზე სიარული
შეუძლია?

ნ. ნიკოლაძე.

(დასასრული ხვალ).

# სახელმწიფო სათათბირო.

...თავმჯდომარეობს როძიანკო. მორიგ
...ით ასხაბადში საქალაქო თვითმართ-
...ის შემოღების საკითხია: საიუბი-
...ით შემდგარმა კომისიამ გააცხადა,
...ა სათათბირომ მომავალ იუბილეში
...ნაწილეობა მიიღოს, და საიუბილეო
...ებისათვის უნდა გადაიდვას 484,999 მ.
...ვარი წინადადების წინააღმდეგ ლაპა-
...კობს სოციალდემოკრატი მურანოვი
...და ტრუდოვიკი ძიუბინსკი. პირველს წე-
...ბისაკენ მოუწოდეს, ხოლო მეორეს
...თქმის უფლება წაართვეს.
...ის მოხსენებაზე ლაპარაკობს
...ზამისლოვსკი, ლაწკევიჩი და გე-
... იუსტიციის სამინისტროს კანონ-
...ტს მცირე შესწორებით ღებულო-
... კანონ-პროექტი სახელმწიფო დაწე-
...ებაში მოხელეების უფლებას ეხე-
...იმ პირს, რომელსაც სასამართლო გა-
...ლებას, კატორგას ან გამასწორებელ
...ში გაგზავნას მიუსჯის კანონ-პროექ-
...ძალით ათ წელს შემდეგ უბრუნდე-
...ყოველგვარი უფლება, და შეუძლია
...მწიფო დაწესებულებაში სამსახუ-
...ციხე მისჯილ პირებს ასეთი უფ-
...ება ხუთ წელს შემდეგ უბრუნდება.
...ე სამინისტროს რამდენიმე წვრილი
...კანონ-პროექტი კიდევ მიიღეს. შვიდი
წვრილი კანონ-პროექტის მიღებას შემ-
...ეგ, კამათია სახალხო განათლების მი-
...ნისტრის სიტყვას შესახებ.

...შევი—ოპოზიციის ორატორების
...ცხარეს აკრიტიკებს. ბავშებს იმ დროს,
...დესაც სწავლა მართებთ, ახალ გზის
...ძიებისაკენ მოუწოდებენ. ეს გარამოე-
...ბავშში ცხოვრებისადმი უკმაყოფილე-
...და თვითმკვლელობას იწვევს. მე-
...რჯვენეებს საჭიროთ მიაჩნიათ საშუალო
...ების საქმეებში ძირითადი რეფორ-
...მოახდინონ. რეფორმა ამ საქმის სპე-
...ლისტებმა უნდა შეიმუშავონ და და-
...ებით განიხილონ. საშკოლო ორგა-
...ციას, მოწაფეთა წრეს, უეჭველია,
...ლიტიკური ხასიათი ქონდა. რევო-
...ცია ცთილობს თავის ფერხულში მო-
...ფეები ჩაითრიოს, ამ მიზნით რევოლუ-
...ციონერები მათ შორის აგიტაციას ეწე-
...ან. მოწაფეები რევოლუციისთვის კარგს
...მასალას წარმოადგენენ. შკოლაში რევო-
...ლუციონური აზრების შეტანით სახელ-
...მწიფოს დაღუპვას უქადიან. მთავრობამ
...ენერგიული ზომები უნდა მიიღოს ბავ-
...ების რევოლუციონერთა გავლენისაგან
...დათავისუფლებათ. მემარჯვენეები ამ სა-
...ქმეში ნაციონალისტებს ემხრობიან.
...ხელაძე ამბობს: კოკოვცოვმა თავის დე-
...კლარაციაში ნაკლებათ გაარკვია—არსე-
...ბობს თუ არა რუსეთში კონსტიტუცია.
...კითხვებს, რომელიც სათათბირომ
...კოკოვცევს დაუყენა, სახალხო განათლე-
...ბის მინისტრმა უპასუხა. რუსეთი არ და-
...წყნარებულა, კრამოლა კიდევ მეფობს
...და ამას შემდეგ 17 ოქტომბრის მანი-
...ფესტზე ლაპარაკი ზედმეტიაო. ახლა თა-
...ვისუფლება კი არა, ძლიერი, მაგარი
...მთავრობაა საჭიროო. კასოს აზრით მთავ-
...რობას პოლიციის ფარული ორგანიზა-
...ციები და განსაკუთრებული წესები გაა-
...მაგრებსო.

ლდოგის სახალხო განათლების მინისტ-
რის განმარტება სუსტი იყო. მინისტრი
ყველას სდებს ბრალს, გარდა შკოლის
მთავრობისა. აქ ზოგიერთმა დეპუტატმა
სახალხო განათლების მინისტრს მადლო-
ბა მოახსენა. მადლობა სახალხო განათ-
ლების მინისტრისათვის კი არა, პოლი-
ციის დეპარტამენტის დირეკტორისათვის
უნდა ეთქვათ. (ტაშის ცემა მარცხნით)
სახალხო განათლების სამინისტრომ პო-
ლიტიკური ორგანიზაციის აღმოჩენა მიზ-
ნათ დაისახა. სამინისტრო სწორ გზას გა-
დაცდა. სასურველია, თავის მოვალეობა
პირნათლად შეასრულოს. განათლების
საქმეში მეტ მონაწილეობას უნდა ღებუ-
ლობდენ ყველა ის ვინც ამ საქმისათვის
მოწოდებულია. რაც შეეხება 34 გიმნა-
ზიელის შკოლიდან დათხოვას, აქ მი-
ნისტრი ირონიულ შენიშვნას იძლევა.
იყო დრო, როდესაც სამინისტრო გიმნა-
ზიაში მოსწავლეებს მოახლეების შვილე-
ბათ იხსენიებდა. დღეს მინისტრის სიტყ-
ვიდან სჩანს მისი საზოგადოებისადმი ცუ-
დი დამოკიდებულება მინისტრი თავის
თავს ყველაფრის ნებას აძლევს. ყოველ
კულტურულ ქვეყანაში კასოსებური მოქ-
მედება შეუწყნარებელია (ოპოზიციაში
ტაშის ცემაა).

გურევიჩი—განათლების სამინისტოს მო-
ქმედებაში ხედავს ებრაელებისადმი ცუდ
დამოკიდებულებას. განათლების სამინის-
ტროს სურს ებრაელებმა უვიცობის მო-
რევში კიდევ დიდხანს იყურყუმალონ:
მინისტრი ასბობს არ მინდა შკოლაში
პოლიტიკა შევიტანოო. უპირველესათ
მან დაანებოს პოლიტიკანობას თავი. ნუ
სთესს მოწაფეებში ნაციონალურ შუღლს.
ორატორს საჭიროთ მიაჩნია ებრაელთა
საკითხის გადაწყვეტა. სანამ ეს „წყეუ-
ლი“ საკითხის არ გადაწყდება მანამ შკო
ლა რეაქციის მასაზრდოებელი იქნება და
რუსეთი წინ ვერ წაიწევს. (თავჯდომარე
ორატორს შენიშნავს ებრაელთა საკითხზე
კი არა მინისტრის განმარტებაზე ილა-
პარაკეო. ორატორი ტრიბუნიდან ჩამო-
დის).

გოდნევი. კასოს სიტყვიდან სჩანს, რომ
შკოლის მთავრობას ხსენებული ორგანი-
ზაციის არსებობა სამი თვის განმავლო-
ბაში სცოდნია, მაგრამ მის წინააღმდეგ
არავითარი ზომები არ მიუღია.

აქ დამნაშავეა შკოლის მთავრობა უმო
ქმედობისათვის და მოსწავლეების ორ-
განიზაციის გაძლიერებაც ამ მთავრო-
ბის ბრალია. ვიცით დაისაჯენ მოწაფე-
ები, ხოლო შკოლის მთავრობა დაისჯეს
თუ არა, ამის კი არაფერი ვიცით. მინს-
ტრი ალბათ სრულად არ არის გაცნო-
ბილი გიმნაზიის წესდებას. მან არ იცის
ის პრივილეგიები დატყვევებული მოწაფე-
ებისა, რომლითაც ისინი კანონის ძალით
აღჭურვილი არიან. მოწაფეები შკოლის
მთავრობისათვის არ წარუდგენიათ, ისე
დააპატიმრეს. ამ გარამოებისათვის სახალ-
ხო განათლების მინისტრს ყურადღება არ
მიუქცევია, (მარცხნით ტაშს უკრავენ) ამ
შემთხვევაში სახალხო განათლების მინის-
ტრის სიტყვიდან სჩანს, რომ რუსეთში
საქმეების ნაცვლად კანონისა კერძო პი-
რის განკარგულების მიხედვით განაგებენ.
რა კი ორატორი მინისტრის სიტყვაში
კანონის დარღვევას ხედავს, ამისთვის ის
კმაყოფილი არ არის კასოს სიტყვით.
(ცენტრსა და მარცხნით ტაშისცემა).

დეპ. ბუდიშჩევი—ყურადღებას აქცევს
დაპატიმრებულ მოწაფეების ბედ-იღბალს.
მინისტრის გადაწყვეტილებაში მოწაფე-
ების დაპატიმრებისა და შკოლიდან და-
თხოვის შესახებ ის ხედავს სღვთო მო-
ძღვრების წინააღმდეგს მოქმედებას. სად-
ვთო წიგნებში სწერია—არ უნდა ვასა-
მართლებდეთ უდანაშაულოებს; უფალს
სხვერპლი არ სჭირიაო. სათათბირომ ხსე-
ნებულ მოწაფეებს უნდა უთხრას: წადით
შკოლაში და არაფერი არა სცოდოთ.

დეპ. სმირნოვი. ის ამბავი, რომ მოწაფე-
ები ზიზღის თვალით უყურებენ თავის
აღმზდელებს, მაშფოთებს. ამ შემთხვევა-
ში ყველაზე მეტი დამნაშავე თვით შკო-
ლაა თუ არა შკოლამ, ვინ გახადა მო-
მოწაფეები იძულებული, რომ რევოლ-
უციონური წრე შეექმნათ. შკოლაში
მოსწავლეებსა და მასწავლებლებს ერთ-
მანეთის ნდობა უნდა ქონდეს.

კავალევსკის—ოკტომბრისტების სახე-
ლით ოკტომბრისტების ფორმულაში შე-
სწორება შეაქვს. ოკტომბრისტები საშუ-
ალო შკოლაში არეულობას მასწავლებ-
ლების მოსწავლეებისადმი ფორმალურ
დამოკიდებულებით ხსნიან იმათი აზრით
ამგვარს ამბებს ხელს უწყობს შკოლასა
და ოჯახს შორის დამოკიდებულების
უქონლობა. ოკტომბრისტები კადეტები-
სა და პროგრესისტების ფორმულას უარ-
ყოფენ. ისინი მხარს არ უჭერენ არც
მემარჯვენეებსა და ნაციონალისტების
წინადადებას.

შემდეგი სხდომა ოთხშაბათს.

# დეპეშა.

**პეტერბურგის დეპ. სააგენტოსაგან.**

**ომი ბალკანეთზე.**

**მალტა.** მალტაში მოსულ ოსმალეთის
ნაღმოსან გემს „ჰამიდიეს“ გამოეცხადა—
24 საათის განმავლობაში დასტოვოს ქა-
ლაქი.

**ცეტინიე.** სკუტარში შავმთიელეთის
ჯარის დამარცხება ამ ჯარის მოქმედებას
ცოტა ხნით შეაჩერებს. ცეტინიეში ბევ-
რი დაჭრილი ჯარისკაცი მოიყვანეს. და-
ჭრილები სააქიმო დახმარებას მოკლებუ-
ლი არიან. ამ დამარცხებას ჯარზე ცუდი
გავლენა აქვს. ომის გაგძელებას საეჭვოთ
უყურებენ.

**ბუქარესტი.** კონსტანტინეპოლიდან ცნო-
ბაა: მას შემდეგ, რაც ახალგაზდა ოსმა-
ლები გაბატონდენ ქრისტიანი მცხოვრებ-
ლები დიდ შევიწროებაში არიან. უფრო
სდევნიან ბერძნებს. ამ გარამოებამ ვაჭრო-
ბის საქმეში კრიზისი გამოიწვია.

**სტამბოლი.** აქ ათიათასობით ვრცელდე-
ბა პარიზში გამოცემული წიგნაკი, სადაც
ხალხს მოუწოდებენ ნაზიმ-ფაშას მოკვლის
გამო შურისძიებისაკენ. შური იძიეთ და
ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი განდევ-
ნეთო.

**ხმაა**—ნაღმოსანი „ასარი“, რომელსაც
მიდიაში ქურთები გადაყავდა, 7000 კა-
ცით დაიღუპაო.

მინისტრთა შორის უთანხმოებაა. რიგი
მშვიდობიანობის მომხრეა და ზოგიც
ომის გაგრძელებას მოითხოვს.

**ბათომი.** ავსტრიის გემით „ბუკოვინით“
34 ბალკანელი მოვიდა. კაპიტნის სიტყ-
ვით ისინი ოსმალებს ტყვეთ ყოლიათ და
სტამბოლიდან მოდიან.

**ვენა.** ადგილობრივი იფიციალური გა-
ზეთი სწერს: ვენის ოფიციალური წრეე-
ბი გაზეთ „როსიის“ განცხადებით კმა-
ყოფილი არიან. რუსეთი, როგორც ავ-
სტრო-უნგრეთი, ბალკანეთის დამოუკი-
დებელ სახელმწიფოების განვითარების
მომხრეა. დარწმუნებული არიან—ასეთი
აზრთა ერთნაირობა ავსტრია-რუსეთის
დამოკიდებულებას გაამტკიცებსო.

**სოფია.** ადრიანოპოლში ბრძოლა გა-
ცხარდა. ოსმალეთის ჯარის რამდენიმე
რაზმი გაიქცა.

**ბელგრადი.** დიდძალი სანოვაგე გაგზავ-
ნეს ადრიანოპოლს.

**სტამბოლი.** ოფიციალურ წყაროებიდან
ცნობაა: შავმთიელეთის ჯარს რიცხვით
თექვსმეტი ათასს იერიში მიქონდა ტარა-
ბოშზეო. ოსმალეთის ჯარი გაფანტეს,
სამი ათასი კაცი მოუკლეს, ბევრი და-
ჭრილია. გალიპოლში ბულგარლებსა და
ოსმალებს შორის გაცხარებული ბრძო-
ლაა.

### საზღვარგარეთი.

**კრაკოვი.** გაზეთი „ჩასი“ მოუწოდებს
პოლონელ მცხოვრებლებს—გაიღონ ფუ-
ლი სახალხო ფონდის სასარგებლოთ.

**ოტავა.** 25 მილიონი დოლარის გადა-
დება ბრიტანიის ფლოტის ასაშენებლათ
კანადის ქვედა პალატამ დაამტკიცა.

**ვენა.** ხარჯთაღრიცხვის კომისიამ მიიღო
კანონ-პროექტი ტრიესტში სააქიმო ფა-
კულტეტის გახსნის და იქ იტალიურ ენა-
ზე ლექციების კითხვის შესახებ.

**ტოკიო.** იამამოტოს კაბინეტის შედგე-
ნა ვერ მოხერხდა. კონსტიტუციონალის-
ტებს ნება მისცეს მინისტრთა პორტფე-
ლების განაწილებისა.

**ლონდონი.** საზოგადო პალატის მდივან-
მა სპარსეთის საქმეების შესახებ სიტყვა
სთქვა აღნიშნა, რომ მეჯლისის მოწვევა
ახლა არ არის სასარგებლოო. ინგლისს
იმედი აქვს ერთ დროს მეჯლისი მოწვეულ
იქნება და სპარსეთი როგორც კონსტი-
ტუციონალური ქვეყანა აღორძინდება.
რაც შეეხება რუსეთის ჯარსო, ის მაშინ
გამოიყვანს მას, როდესაც სპარსეთში
მშვიდობიანობა დამყარდებაო.

**მექსიკა.** ქუჩაში ბრძოლა რამდენიმე
დღე გაგრძელდა. პრეზიდენტმა სამსახურს
თავი დაანება.

### რუსეთი.

**მოსკოვი.** ქალაქის თვითმართველობამ
დაადგინა სანიტარული რაზმი ბალკანეთ-
ში 15 დღის განმავლობაში კიდევ დარ-
ჩეს. თხოულობს რაზმის შესანახათ კიდევ
50,000 მანეთის გადადებას. ცნობაა—
კოვის სანიტარული რაზმი მოწინავე პო-
ზიციებს შეელოდაო.

**სარატოვი.** სარატოვის მახლობელ მთებ-
ში გეოლოგიურმა გამოკვლევამ აღმოა-
ჩინა ფასფორიტის დიდი მადნეული.

**ვორონეჟი.** საიმპერატორო კანცელარი-
ის სახელზე ამ უკანასკნელ ხანებში დიდ-
ძალი თხოვნები მოდის. მთხოვნელები
მომავალ იუბილეს გამო სხვადასხვა სახის
დახმარებას თხოულობენ. კანცელარია სა-
ყოველთაოდ აცხადებს, რომ თხოვნები
განიხილება დღესასწაულებზე და ახლა კი
არავითარი შეღავათი და მოწყალება არ
გამოვა. რაც შეეხება იმათ ვინც ფულით
დახმარებას თხოულობს მათი თხოვნა,
რამდენათ შესაძლებელი იქნება, დაკმა-
ყოფილდება.

# ძველი და ახალი ცნობა

**სტამბოლის ქართველ მამათა მონას-
ტერზე.**

„თემის“ 106 ნუმერში საყურადღე-
ბო წერილი იყო მოთავსებული წ. ნინო-
ობაზე სტამბოლში.

რამდენათაც ვიცით, აქ ყოველ წლივ
დიდის დიდებით იხდიან ქართველთა გა-
მანათლებელის დღეობას, მაგრამ წრევან-
დელისთანა დიდებული ჯერ არ ყო-
ფილა.

ამ დღესასწაულების სულის ჩამდგმელი
იქაური ქართველ კათოლიკეთა მონასტე-
რია; მგონი ბევრმა მკითხველმა დიდი
რამ არ იცოდეს ამ საინტერესო დაწესე-
ბულებაზე.

მონასტრის საფუძველი ჩაყარა ღარიბ-
მა ახალციხელმა ღვდელმა მ. პეტრე ხა-
რისჭირაშვილმა. როგორც სხვა ახალცი-
ხელი მოძღვრები, ესეც სომხურ წესზე
იყო ნაკურთხი. ამიტომ სტამბოლში ჩას-
ვლისას, სულ პირველათ სომეხთა კათო-
ლიკე პატრიარქს ჰსუნს მიმართა და გა-
ნუზიარა თავისი განზრახვა ქართველთა
სავანის დამყარებაზე. პატრიარქმა ყოველი
ღონე იხმარა, რათა ამ აზრზე ხელი აე-
ღებინებია, წარმატებასაც დაპირდა...
მაგრამ ის ჯერ კიდევ ვერ ცნობდა ქარ-
თველ კლდეს,—მტკიცე ხასიათის პეტ-
რეს. მ. ხარისჭირაშვილმა შეატყო, რა
„ზნე“ სული ამოძრავებდა პატრიარქს და
ერთ დღეს იმის წინ მოიხადა სომხის
ღვდლის სამოსელი, ე. ი. ქუდი შავი
მანდილით და დაუტოვა: შენთან საერ-
თო არაფერი მაქვსო. ამას შემდგომ
მიმართა ლათინების არქიეპისკოპს ბრუნონს
და ამ ჯეროვნათ ნამდვილათ მზრუნველ
მამას შეხვდა. ამის მფარველობის ქვეშ
დაარსდა ქართველ ბერმონაზონთა უმან-
კო ჩასახების ლავრა 1861 წელსა.

განათლებულმა მ. პეტრემ თავის მო-
ნასტერს ქვაკუთხედათ დაუდოვა ქართუ-
ლი ტიბიკონი. იმან კარგათ იცოდა ქარ-
თული ტიბიკონის მქონე ველელ კათო-
ლიკეთა წამებული ცხოვრება*) და გადა-
წყვეტილი ქონდა წამალი დაედო. მისის
მეცადინეობით, პაპმა მალე შეიწყნარა
ქართული ტიბიკონი**) და ასე გაშინ-
ჯეთ განცალკევებითი პრივილეგიებიც
უბოძა ქართველთა სავანეს. როგორც
მაგალითად ლათინის ღვდელს შეეძლოს
ჟამ-კანონი ქართულათ აღასრულოს.

განსვენებული დიდ იმედებს ამყარებ-
და ქართულ ტიბიკონზე, რომში დარ-
წმუნებით სწერდა რომ ათიოდე წელი-
წადში ამ ტიბიკონის შემწეობით მთელ
ქართველ მაჰმადიანებს გვაქრისტიანებო.
მართლაც გეგმა დიდებული იყო, მაგრამ
მალე ეს მხარე რუსეთმა შემოიერთა და
აბატი პეტრეს პლანებსაც მნიშვნელობა
გამოეცალათ.

მაინც სიკვდილამდი დარაჯათ უდგა
საგვარო ტიბიკონს; საუბედუროთ 1881
წლიდან მძიმე ავათ გახდა და ფაქტიუ-
რათ საქმის მართველობა უნიჰოებს ჩაუ-
ვარდათ ხელში. კაცს გული აღეძრება, ნა-
ხავს რა, რომ სიკვდილამდის ქართული
ტიბიკონი ამოძრავებდა ამ პატიოსან პირს.
ჩვენ შემთხვევა გვქონდა ქართველი მამე-
ბის არქივებისთვის თვალი გადაგვევლო
და რას შევხვდით?

— იმ ავათმყოფობის წინათ, რომელ-
მაც სრულიად მართველობიდან ხელი
აალებია, ეს დიდებული გვამი, რომის
ტახტს ემუდარებოდა, რათა სტამბოლის
ქართველებისთვის თავიანთი ტიბიკონის
ეპისკოპოზი დაენიშნა; ამ თანამდებობის
ღირსათ მიაჩნდათ გონება გამჭრიახი მ.
იოსებ მამუკანთი. აბატი ხარისჭირაშვი-
ლის სიტყვას დიდი გავლენა ქონდა
ყველგან და ავათმყოფობას რომ ხელი
არ შეეშალა, უეჭველათ ქართველებსაც
თავიანთი საეკლესიო იერარქია, აკადე-
მია და სხვა მრავალი ეროვნული დაწე-
სებულობა ექნებოდა.

ყველა ამაებს დიდი შედეგები მოჰყვე-
ბოდა, აბატი პეტრეს უცბათ დასნეულე-
ბას ყველაფერი რომ არ შეეფერხებია.
ის ათიოდე წელიწადი ავადმყოფობდა,
გარდიცვალა 1890 წ. და მონასტერმაც
დაიწყო უკან დახევა, დაიხურა სტამბა,
დაიშალა სასწავლებელი, შეჩერდა დიდე-
ბული ეკლესიის შენობა...

ამას შემდგომ სამმა უფროსმა ხელთ
იგდო მართველობის საქმე, მაგრამ ვერა-
ფერი უშველეს, ზოგმა პირიქით საქმე
ავტოკეფ ლია და სხ. შ. ბ.

*) გელი ჯავახეთის სოფელია, მეთვრამე-
ტე საუკუნის პირველ ნახევარში იქაური
მართმადიდებელნი გაუკათოლიკებია პ. ნ...-
ლა ჯორჯენთის. ესენი დიდ ხანს თავიანთ
ტიბიკონზე დარჩენილან; ხოლო მე-XIX
საუკუნეში ცნობილის მაჰჯუდიანის წყალობით
მათი გასომხება დაუწყიათ. საწყალ გელე-
ლებს ძალიან ეძნელებოდათ საგვარო ტიბი-
კონის მიტოვება. ხალხში ახლაც ახსოვთ,
რანაირ წინააღმდეგობას უწევდა გასომხების
პოლიტიკას დიაკონი ფილიპე. თურმე სომ-
ხის ღვდელი „ტერვოღორმიას“ რომ დაიწ-
ყებდა, ისიც ქართულათ დასძახებდა: „მერმე
და მერმე მშვიდობით უფლისა მიმართ ვი-
ლოცოთ“ ო მაგრამ ეს უკანასკნელი დარაჯი
ეროვნული ტიბიკონისა მიიცვალა რა, მას-
თანვე საფლავში ჩაესვენა ქართული ტიბიკო-
ნიც კათოლიკეთა შორის... ახლა გელელები
მთლათ გასომხებული არიან და ბინადრობენ
ახალქალაქის ახლო მდებარე სოფლებში.
ხულგუბო, კარტიკამსა და ბავრაში. (გელე-
ლებზე ცნობანი იხ. თაარიშ. ისტ. გვ.
473—480 და 586—87).

**) გასულ წელს დიდი ალიაქოთი ასტე-
ხეს: რომის ტახტი ქართულ ტიბიკონს არ
ცნობსო. დანამდვილებით აი საქმე რაშია. მ.
პეტრემ ასე რომ ვსთქვათ, შინაურათ შეაწ-
ყნარებია პაპს ქართული ტიბიკონი; ერთმა
ქართველმა და ერთმა ბერძენმა ღვდელმა
შეადარეს ჟამნი და კონდაკი, განსხვავება
არავითარი არ აღმოჩნდა და ჯერ-ჯერობით
სასულიერო მთავრობა ამასაც დასჯერდა,
მაგრამ რომიდან მოითხოვეს ქართ. ტიბი-
კონის დანარჩენი წიგნებიც, რათა დაწვრი-
ლებით გამოეკვლიათ; საუბედუროთ მ. პეტ-
რეს სიკვდილით, როგორც სხვა ბევრი რამ
ამ საქმის წარმოებაც შეწყდა. ჩვენ დრომდის
ქართ. ტიბიკონზე ლაპარაკი აღარ აღძრულა;
ყველას კი ეგონა ქართ ტიბიკონი ოფიცია-
ლურათ შეწყნარებულ იყო, ასე რომ ოთხი
სტუდენტი რომის ერთ-ერთ სასულიერო
უნივერსიტეტში სწავლობდა და ქართ. ტიბი-
კონისათვის ემზადებოდა; ამათ კურთხევას
ბევრი აღარაფერი აკლდა, როდესაც ერთმა
სადგთო გვაჯით (!( აღმატებულმა ქართველ-
მავე ბერმა ხმა აიმაღლა, სასულიერო მთავ-
რობას აცოდინა: ქართული ტიბიკონი შეწ-
ყნარებული არ არის და მათი კურთხევა არ
შეიძლებაო! ამგვარათ ის ახალგაზდანი ლა-
თინის ტიბიკონზე აკურთხებიეს თავიანთი
სურვილის წინააღმდეგ,—რას იზამდენ, ნათ-
ქვამია: „ძალა აღმართსა ხნავს“-ო.

ეხლა ეს ახალგაზდა ღვდლებიცე არიან,
რომ ცთილობენ ქართ. ტიბიკონის საქმე
მოაწესრიგონ; ფიქრი არ უნდა— მალე
ოფიციალურათ შეიწყნარებენ; ამისთვის სა-
ჭირო იქნება ლიტერატურული წიგნების
განხილვა და სხვა მრავალ კითხვათა გამოკ-
ვლევა. შვენიერი შემთხვევა გვეძლევა მთელ
ევროპას გავაცნოთ ქართ ტიბიკონი, ჩვენი

ჭურჭლეულობისა და ავეჯეულობის მაღაზია ქ. ქუთაისში

# ფ. ს. ფილიპოვისა

ყოველთვის მოიპოვება დიდძალი ჩინეულ... რისა და ფაიანსის ჭურჭლეული. საუკეთესო ... ლისა და მინის საქონელი, საუკეთესო ... ვარშავიდან და საზღვარგარეთიდან, ... ემალ გამოვლებული ჭურჭლეული თეთრი ...

მინის, ალპაკა და სპილენძის ქვაბები, ყვავილები და სხვა სამზარეულო ჭურჭელი. სამოვრები, ნავთის სამზარეულოები და ყოველივე საოჯახო ნივთი. ვერცხლარევი და მრინჯაოთი ... საქონელი. მოხრილი სუფრის ყოველგვარი და და ბამბუკის ავეჯეულობა, ვარშავისა და ინგლისისა ქარხნებიდან ლოგინები. კედლისა და საპირფარეშო სარკეები, სასუფრე კლიონკები და ... ღვარგარეთისა და რუსეთის გიტარები, მანდალინები, ბალაიკები, პატე—გრამაფონები და მათი ფირფიტები, პიანინები და ყოველგვარი საარგანო შემკობილება. ელექტრონული ლამპები და ყოველგვარი ... ყობილი, ორთქლით მრეცხავი მანქანები და საეკლესიო მოწყობილება, დიდძალი რჩეული შპალერი თოფი 8 კაპიკიდან ვიდრე მანეთ-ნახევრამდი. საუკეთესო ქარხნის მბეჭდავი მანქანის წარმომადგენლობა ... თაისს გუბერნიისა და ბათომის ოლქში მეკუთვნის მხოლოდ მე. ფასები მეტათ დაკლებულია.

სავაჭრო სახლი ბოკიელოვი შვ-ბი ქუთაისში.

# ხ. ხრისტადულიდის

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ-კავკასიაში ჩვენში კარგათ ცნობილი სახელი ... გან...
აბრეშუმის თესლის

(რომელსაც ჩვენში წინათ წერეთლის თესლს ეძახდენ). ამით აუწყებს მეაბრეშუმ... თესლით მოვაჭრეებს, რომ პარტიობით თესლის დამკვეთ (ზაკაზის მომცემთ) ნაღდ ფ... არა ნაკლებ ერთი ყუთისა ანუ 200 ექვს მისხლიან კოლოფისა თესლი მიეცემათ: 1 მა... დის—1 მ. 14 შ., 15 მარტამდი—1 მ. 4 აბაზათ, 1 აპრილამდი—1 18 შ. ხრისტადულიდის თესლის ღირსებამ გასულ წელს ზოგიერთ ვაჭბატონებს მადა გაულვიძა და მდარე ღირსების თესლის ყუთებზე ... გაზეთები „ზაკავკ. რ.", „სახ. გაზ.", „ბათ. სიმართლე" და სხვ.) ხრისტადულიდის ფირმის ყალბი ეთიკეტების კეთებას შეეცადნენ. შესაძლოა ზემო-ღნიშნული ბოროტება წელსაც განმეორდეს. თესლის ... ნის დროს სიყალბის ასაცდენათ დიდი ყურადღება მიაქციეთ ჩვენი ფირმის „იარლიკს" და „პლემბელს", აგრეთვე შეეცადეთ თესლი სიმედო პირთაგან შეიძინოთ.

გააფუჭა. საზოგადოთ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ უფროსებს არ ქონდათ დამწყობის სული, სახელდობრ, ჯეროვანათ არ უყვარდათ ქართ. ტიბიკონი. იმათ დროს არც ერთი ღვდელი არ კურთხეულა საგვარო ტიბიკონზე; იმათვე დროს შესწყვიტეს ჟამკანონის ქართულათ გადახდა.

მაგრამ დადგა დრო განახლებისა გასულ წელს. აქომამდი დანაღვლებით დაჰყურებდენ დაქსაქსულ საქმეებს, მ. ალფონსო ხითარიშვილის მხურვალე სიტყვებით გამოწრთვნილი ახალგაზდები. ახლა უკვე იმდენი ძალა ჰქონდათ, რომ შეეძლოთ საქმის პატრონობა, და აკი კიდეც მართველობას მედგრათ მოკიდეს ხელი. ყველას სწამდა მათი წრფელობა და მ. ხარისჭირაშვილის ანდერძის მიმდევრობა, მაგრამ არავის ეგონა, რომ ეგოდენ უნარს გამოიჩენდენ მართველობაში. სულ რამდენიმე თვეა, რაც უფროსობა დაიწყო აბატმა პიო ბალიძემ და მონასტერს დიდი წარმატება დაეტყო, როგორც მატერიალურათ, აგრეთვე გონებრივათ. სემინარია (სასულიერო სასწავლებელი) გაათართოვა და სულ ეროვნული ელფერი მისცა ქართული კოსტუმის შემოღებით. ქართველი ყმაწვილებს თეთრს ნაბად-ჩოხა-ქუდს განცვიფრებაში მოჰყავს იქაური მცხოვრებნი, მეტადრე ევროპიელები; ყველას მათისურათის გადაღება უნდა.

ამას გარდა, გადაწყვეტილია—მთელი სწავლის კურსი ქართულათ მოეწყოს; ამაში ჩვენ ქართველმა მეცნიერებმა ხელი უნდა გაგვიმართონ საჭირო სახელმძღვანელოების გამოცემით.

სხვადასხვა დროშები ‡ წვრილწვრილი ხატები დაუკეთებიათ, როგორც წ. ნინოსი; აგრეთვე სხვა ქართველ წმინდანებისა. რა საკვირველია, აქაც, ჩვენი სწავლულები დახმარებას აღმოუჩენენ; აი მაგ. ამ სტრიქონების დამწერს მიმართეს ფერიქოველმა მამებმა, რათა ნიმუშები გაეგზავნა ქართული სამოსებისა, ქართ. საგვარო დროშისა, რათა გამოეკვლიათ ფერადები სამოსებისა საბინინის სურათებში და სხვ.

ეს საკითხები ძალიან საინტერესოა და ურიგო არ იქნება ჩვენი დღიურების ფურცლებზე დაიწყონ მათი გამოკვლევა ეს ცნობანი კიდევ შეიძლება პირდაპირ აბატს პიო ბალიძეს გაეგზავნოს ფერიქოვში (მისამართი: Conctantinople. Peres Georgiens).

ანუ ამ სტრიქონების დამწერს: („იმერეთის" რედაქ. შ. ბ.) დარწმუნებული ვარ, ახლო მომავალში სტამბაც გაიხსნება სტამბოლში: ნინაოზისთვის მოსაწვევი ბარათები ლავრის საკუთარ სტამბაში დაუბეჭდიათ. ამ ჟამათ, ღირსი წინამძღვარი ცთილობს იქაური წიგნსაცავები კარგ ნიადაგზე დააყენოს. სტამბოლის ქართველებს ორი სამკითხველო მოეპოებათ ა) „აკაკის" პც. ვლ. წერეთლის თაოსნობით დაარსებული და ბ.) „წ. ნინოსი". ეს უკანასკნელი იქაურ სასწავლებელს ეკუთვნის, სულ ნორჩი დაწესებულებაა და სამშობლოს მცხოვრებთაგან მოელის დახმარებას. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოლოდინმა ამაოთ არ ჩაიარა; აი მაგ. ამ წელს გამოუწერეს:

ანიკო ფალაშაშვილმა—„ნაკადული"
ელენე ქაჩუხუაშვილმა—„ჯეჯილი"
ნიკო ბეთანიშვილმა—„კლდე"

ამას გარდა, ხელნაწერების საცავიც არის მოწყობილი მონასტერში, სადაც უკვე მოთავსებულია საკმაო რიცხვი წიგნებისა (**).

წლიდან წლზე ამ დაწესებულებათა მოქმედების ანგარიშს ფართო საზოგადოებას აცოდინებენ დღიურების საშუალებით

უეჭველათ, ქართველ საზოგადოებას სასიხარულოთ დაურჩება სტამბოლის ქართველთა წარმატება და თავის დროზე დახმარებასაც აღმოუჩენს.

ვუსურვებთ პ. დ. აბატს პიო ბალიძეს ბოლომდი გამოეჩინოს ის ენერგია ‡ საქმისადმი თავგანწირულება, რომელიც აგრე უხვათ დაგვანახა ამ რამდენიმე თვის განმავლობაში. **შ. ბ.**

**) სხვათა შორის შესანიშნავია ხელნაწ. № 2 ქრისტომატია მშვენიერი ხუცური ხელით დაწერილი 1500 წ. შიგ მოთავსებული ნაწარმოებთაგანი ზოგი ძალიან ძველი დროის და შესანიშნავ ავტორებს ეკუთვნის. მაგ. ღვთისმშობლის ცხოვრება (თარგმნილია 1903 წ.) და შენიშვნანი პლატონურ ფილოსოფიაზე ეკუთვნიან ი. პეტრიწის კალამს. ამ უკანასკნელ გამოკვლევაში ჩვენი განთქმული ფილოსოფოსი დრტვინავს იმაზე, რომ ქართულათ ტერმინოლოგია შემუშავებული არ არისო. მკითხველს უკვე ეცოდინება, რომ ეს ნაკლი თვითონ პეტრიწმავე ჩინებულათ შეავსო კარგი იქნება სტამბოლის ბერები განიხილავდენ დაწვრილებით როგორც ამ საინტერესო ქრისტომატიას, აგრეთვე სხვა ხელნაწერებს. ეს არ გაუჭირდებათ, რადგან საზოგადოთ ხუცურის ამოკითხვა ეხლანდელ დედლებმა გაკვეთილათ იციან. **შ. ბ.**

რედაქტორ გამომცემელი
გ. ე. ჭელიძე

40 ДНЕЙ

БЕЗПЛАТНО!

Если вы въ теченіе 40 дней не выучитесь свободно говорить, читать и писать по нѣмецки, французски и латински по нашимъ самоучителямъ составленнымъ по новѣйшему методу [все другіе—реклама] деньги возвращаемъ обратно. Цѣна самоут. одного языка съ пересылкой наложеннымъ платежомъ 1 р. 10 к. 2-хъ—1 р. 90 к. 3-хъ—2 р. 80 к. 4-хъ—3 р. 15 к. Заказы исполняются един. складомъ для всей Россіи. С.-Петербургъ Петерб. сторона Большой пр. 56—583. 2129 Я. К. ПЕТЕРСЪ.

40 ДНЕЙ

1-е ЗАОЧНЫЕ КУЛИНАРНЫЕ КУРСЫ.

Полный курсъ лекцій для самообученія „скоромный и постный столъ", около 1000 рецептевъ кушаній, напитковъ, печенья, компотовъ, вареній, сладкихъ блюдъ, пироговъ и др. 300 стр. убористаго шрифта. Цѣна съ перес. нал. плат. 2 р. 60 к. НАСТАВЛЕНІЕ, какъ правиль но вести домашнее хозяйство и приготовлять экономическіе вкусные и питательные обѣда съ приложеніемъ разрѣзки мяса и украшеніемъ стола и блюдъ, около 100 стр. съ рисунками. Цѣна 1 р. 20 к. Обѣ книги вмѣстѣ 3 р. 35 к. (можно марками) Съ заказами обращаться исключительно къ Я. К. ПЕТЕРСУ. С.-Петербургъ Пет. стор. Большой просп. № 56—255.—584.

ПО УДЕШЕВЛЕННОЙ ЦѢНѢ!

ВРЕМЕННО РАСПРОДАЕТСЯ

Вмѣсто 10 р. за 7 р. 50 к.; въ роскошномъ золотомъ тисненномъ переплетѣ 10 р.

15 ТОМОВЪ полнаго сборанія около 5,000 страницъ большого формата СОЧИНЕНІЙ

ГЮИ де-МОПАССАНА

Имя Гюи де-Мопассана гремитъ славою не только среди соотечественниковъ, но и среди всего міра. Достаточно указать на отзывы И. С. Тургенева и Льва Толстого, чтобы судить о томъ высокомъ положеніи, кокое Гюи де-Мопасанъ занялъ въ исторіи всемірной литературы. Памятиикъ воздвигнутый ему въ Парижѣ краснорѣчиво говоритъ о симпатіяхъ французской націи. Его произведенія разошлись разновременно болѣе 300 изданій въ сотняхъ тысячъ экземплярахъ и переведены на языки всѣхъ народовъ. Сочинонія его особенно большой интересъ представляютъ теперь, когда такъ много говорятъ О ПОЛОВЫХЪ ОТНОШЕНЯХЪ МУЖЧИНЪ и ЖЕНЩИНЪ. Въ его романахъ читатель найдетъ разрѣшеніе этого вопроса въ изображеніи правдивой дѣйствительности. Книги высылаются наложеннымъ платежмъ; пересылка за счетъ покупателя по почтовому тарифу, упаковка безплатно.

Задатокъ въ размѣрѣ 2 р. 50 к. прошу выслать, можно марками почтовыми или гербовыми, безъ чего заказы не вѣполняются.

Единственный складъ для всей РоССіи: С.-Петербургъ, Петерб. Сторона, Большой пр., 5—61. Я. К. ПЕТЕРСЪ.

3 დეკემბრიდან ქ. თფილისში გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ჩვენი დროება".

ხელისმოწერის პირობები თფილისში და თფილის გარეთ: წლიურათ—5 მ., ნახევარი წლ.—3 მ., ერთი თვით—3 აბ., საზღვარგარეთ ერთი ორათ მეტი. ცალკე № ყველგან—3 კაპ.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი პეტიტით—3 შ., მეოთხეზე—2 შ.

გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ: აკაკი, ი. ანდრონიკაშვილი, არტემ ახნაზაროვი, გ. ამირაჯიბი, კ. ანდრონიკაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ფ. გოგიჩაიშვილი, ზ. გულისაშვილი, გ. გვაზავა, ვ. გუნია, დ. დუმბაძე, დავით ეპისკოპოზი, ევდოშვილი, ი. ვართაგავა, ეგ. იოსელიანი, დ. კასრაძე, ს. მგალობლიშვილი, კ. მესხი, ანტ. ნატროშვილი, იასე რაჭველი, მ. ჯანაშვილი, გრ. ყიფშიძე, კ. თუმანიშვილი, ვალ. შალიკაშვილი და სხვ.

ადრესი: Тифлисъ, Дворцовая ул., д. Д. З. Сараджева, рядомъ съ редакц. газ. „Закавказская Рѣчь". Телефонъ №—12—48. Для телеграммъ: Тифлисъ „Дроеба".

რედაქტორი სოფრომ მგალობლიშვილი.

გამომცემელნი } ერ. დ. გორდელაძე
} მ. გაჩეჩილაძე.

ბ. მორდამის და ს. წერეთლის

რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:

საუკეთესო
ქარხნებისაგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ლუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობანი, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭლები, ასფალტი, და სხ.
ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხაელის ქუჩაზე № 65.

რა საჭიროა—სოფელში აშენოთ ქურა (პლიტა), სადაც ... ტიც და მასალაც ძნელი საშოვარია, უმჯობესია მიმართოთ

ძმ. ე. ‡ პ. საკაშვილების

სავაჭროს, ქუთაისში.

(მუშკინის ქუჩა საკუთარი სახლი).

იყიდება ქურა (პლეტა), თუჯის ორი „კომფორ... „დუხოვკით", სადაც შეიძლება ჭადის გამოცხობაც. გირჩევთ ჩქარებით იყიდოთ, თვარა მოთხოვნილება ბევრია და ფეჩები ... ლიან ცოტა არის მოსული.




ფილიპე ნ. ჭელიძი...

შამპანიურ „თამარ მეფე" და „კოლხიდა"

ოქროს მედალი

სამკურნალო და სუფრის ღვინოები.

ფირმა დაჯილდოებულია სხვადასხვა გამოფენაზე 1 ოქ... და ხუთი ვერცხლის მედლით. ღვინოები მზადდება სპეც... რათ ამ მიზნისთვის მოწყობილ სარდაფში მეღვინე სპ... ლისტის მეთვალყურეობით.

ვინც დასკვეთს არა ნაკლებ 20 ბოთ...

ქუთაისში მიცვანას ფირმა კისრულობს

ფირმას აგრეთვე აქვს განსაკუთრებულათ დამზადებუ... ლი ღვინოები, შორეულ ქვეყნებში გასაგზავნათ.

პრეისკურანტი მოთხოვნილებისათანავე იგზავნება უფასოთ.

მისამართი: ქუთაისი, ფილიპე ნ. ჭ... მიხეილის ქ. საკუთარი სახლი, № 48.



ნ. ს. ტერძი.

ქუთაისი, ქაროვასლის ქუჩა.

სპეციალისტური სავაჭრო

ნავთის—კალინო ლამპები და ფარნები, 75% იაფი ელექტრონულზე, იოლათ და ადვილათ მოსავლელი.

ნავთისავე მრავალი ფეჩები, სამზარეულო, სათფური და პრიმუსები.

ფასები ძლიერ დაწეულია.

მოითხოვეთ პრეისკურანტები

ქუთაისში ასეთი ფარნები არის 160.




